

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: თბილისში წლი-სა—8 მან., ნ. ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

განცხადება: მიიღება ქართულს რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. ფასი განცხადებისა: დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

პირველი ენკენისთვიდან ამ მდგომარე ვლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს საამ მანათად

პირველი ღვინობისთვიდან წლის დამლევამდინ—ორ მანათად.

ხელის-მწერა შეიძლება თფი-ლისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩა-ზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

შალაქს გარე შე პირთა ამ აღ-რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типо-графіи. Въ редакціи газетъ „Дроება“.

საქართველო

შენიშნვა სახალხო უკოლავის მასწავლებელთ კრებაზედ

(წერილი რედაქტორთან)

„მეტად უთავბოლოთ, უსაფუძვლოთ და მოუაზრებლოდ წაეიდა საქმე ჩვენი სოფლის უკოლების მასწავლებელთ პირველი კრებისა“.

ასრე იწერებოდა ამას წინათ გაზეთ „დროებაში“ უფ. ი. ზ.

მართლაც რომ ერთობ უხიაკად წა-ვიდა ამ მასწავლებელთ პირველი კრე-ბის საქმე. მსე პირველი მათი კრება კაცს უფრო ცუდ-უბრალოდ მოლაპარა-კეთ და ენათ მრავლობის ალაგს წარ-მოუდგენდა, ვინემ უხუმრად აზრების განზიარებისასა.

თუმცა სოფლის უკოლების დირექ-ტორმა უფ. სტრელეცკიმ წინათვე ურ-ჩია როგორც თვისდაძი რწმუნებულთ მასწავლებელთ, აგრეთვე იქ მყოფ გა-რეშე პირთაცა, რომ მათ გულ-წრფე-ლად და დაურიდებლივ გაოცებულთ ხოლმე თავთავიანთი აზრები შესახებ იქ აღძრულ სხვა-და-სხვა პედაგოგიური კითხვებისა, მაგრამ ეს მისი გონიერული წინადადება კრებამ რილასთვისაც მალე აითვალწონა და ბოლოს-და-ბოლოს ხომ სრულიად საიდუმლო კრეტ-საბმე-ლიც ჩამოიფარა! . . .

მტკიცე ნიაღვრედ დაფუძნებული და ღრმით მოსაზრებული მასწავლებელთ კრება, რასაკვირველია, ძრიელ კეთილი და სასარგებლო საქმეა; მაგრამ მხოლოდ მტკიცე ნიაღვრედ დაფუძნებული და ღრმით მოსაზრებული, და არა ეხლან-დელი ჩვენი კრებისთნა.

სანამ ჩვენში ამისთანა რამეს მოჰკი-დებდნენხელსა, ჩვენის ჰაზრით, ათას-ჯერ უმჯობესი იქნებოდა, რომ ჯერ თვით სოფლის უკოლების მასწავლე-

ბელთ მატერიალურ მდგომარეობაზედ მიექციათ განსაკუთრებითი ყურადღება. სანამდისინ სოფლის მასწავლებელს კუ-ჭი მამლარი არ ექნება და სხვა ურიცხვთ გარეშე თანამდებობებს მომორებული არ იქნება, მანამ მერწმუნეთ, ყოველ ამ გვარ კრებისა და სახალხო განათლების საქმის კარგათ წაყვანა ყოველად შეუძ-ლებელი და მოუხერხებელი უნდა იქნეს.

ჩვენ პედაგოგებს კი ამისთანა უსაჭი-როეს საგანზედ არამცთუ კრინტიც არ დაუძრამთ თავიანთ სხდომების დროსა, არამედ სიამოვნებითაც კი ისმედნენ თითქმის ამისწინააღმდეგს ერთი გარე-შე პირისაგან: რუსეთში სახალხო მასწავ-ლებელთ ათი, ან თხუთმეტი თუმნის მეტი ჯამაგირი არა აქვთო, მაგრამ ექვს-შვიდს საათსკი ასწალიან ოთხ-ხუთს განყოფილებას შეგორდებისას და განა ჩვენ რალა დაგვიშლის, ვითამ, რომ მათ მაგალითს მივბაძოთო. ეს რომ უფალომა დირექტორმა სტრელეცკიმ მოისმინა, გაიღიმა და სთქვა: „მაშ თქვენც, უფ. მასწავლებელნო, ათ თუმანზე მეტს ნულარ მოგეთხოვთ ჯამაგირსა და მაშინ თვითეულ უკოლაში ოროლი მასწავლე-ბელი გვეყოლება და უკოლის ჩერბიც, რასაკვირველია, უფრო ჩქარა დაიწყებს ტრიალსა.“

მართლაც-და ნეტა თუ ან რა სიტყ-ვით მოსატანნი იყენენ ზემოთ-მოხსე-


ფალტონი

ახალციხის უფალტონი

„მარგი საქმე გვიან იქნებაო,“—უთ-ქვიათ ძველთა. მადლობა ღმერთს აღ მოსაველეთის სლავიანებს განთავისუფლე-ბის საქმეს, სულ ბოლოს უკან მოჰყვა ჩვენი დახეულ-დაფხრეწილი მსალოს საქართველოს ორი ნაწილის მოკერებაც; გარდა სინგოთისა, ძისკიმისა, პარხალისა, მორთომისა, ბასიანისა და სპერისა. ღმერთმა ჰქმნას რომ ესენიც ჩვენკენ დარჩენილიყოს ისე როგორც შოცხოვი, არტანის, ჩილდირი, ძოლა, არტანუჯი, შანაგი, ნარამანი, მლთისი, ართვინი, შერდაგრაკი, მაჭხელი, იმერ-ხევი, აჭარა და ბათუმი დავგრჩა თავი-სუფალის ნავთ-სადგურითა. მითქმის სასწაულად ჩასათვლელია, ვინც დააკვირდება ყოველის მხრით ამ

საქმესა. მართალია, ბერლინის ძონგრესის გარ-დაწყვეტილობით, მოგვეცა ჩვენ ბათუმი თავისი მიდამოებითა; მაგრამ იმავე ძონ-გრესის განჩინებით მიეცა პესტრო-შენ-გრიასა ბოსნია და ჰერცოგოვინაცა; გა-ნა დაიჭირა უომრად და სისხლის დაუღ-ერელოდ? არა! მაშ რისაგან იქმნა აჭა-რისა და ბათუმის მხარის მცხოვრებლე-ბის შემოერთება ჩვენთან ასრე მშვიდო-ბიანად და ხმის ამოუღებლოდ? ბანა არ შეეძლოთ წინააღმდეგობა? ან ადგილის მდებარეობა ხელს არ უწყობდა? თუ შარ-შანდელი მსალოს მთავრობისაგან და-რიგებული ახალ სისტემის 60,000 თოფ-იარაღი არა ჰქმაროდათ საბრძოლელად? ანუ თუ ბოსნიელებზედ და ჰერცოგო-ვინელებზედ ერთი-ათად და ასად ხელ-მარჯვე, ფერხ-მალი და გულადნი ვაჟ-კაცები არ იყენენ აჭარლები, იმერხევე-ლები და მაჭხელლები თუ როგორ? თუ ესთქვით შეძლებაზედ, დიად მათ-

ზედ უძლიერესი და ბევრითაც უმხნესი იყენენ და კლდეც არიან! სინის-ძარის ბრძოლაში გამოცდილებამ ნათლად და-ნახვა მრთელს ქვეყანასა, აჭარლების უძ-ლეველობა და კეთილ-მშობლური ერთ-გული სიმტკიცე თავიანთს კუთვნილს ხვედრზედა. და დღესაც თუ ჩადიან მისთანა ჩვენს არა სასიამოვნო ამბავსა, სტეოენ თავიანთ სამყოფს-სადგომს და გადადიან მსალოს საზღვარში, მე იმდენად არ ვაწერ ამ გვარ მოძრაობას იმათ სარწმუნოებრივს ფანატიკობასა, (როგორც ასამართლე-ბენ მრავალნი ჩვენთაგანნი), რაოდნადაც იმათ ერთ-გულს სიმტკიცესა თავიანთ ხელმწიფისათვის, რომლის ქვეშევრდო-მობაში დაბადებულან და აღუხელიათ თვა-ლი, ავად თუ კარგად; თუმც არავითარი წარმატება არ მიეღოთ, მაგრამ მაინც ვერ იფიწყებენ მფლობელობის ზედმოქ-მელობასა. ამ გვარ პირთ სულ არ ეზ-რახებათ ჩვენგან ესრეთი ლტოლვილება.



ნებულნი მოსაზრებანი? რუსეთში რომ თხუთმეტი თუმნია მეტი არა აქვს სახალხო მასწავლებელთა, იმათი საქმე სულ სხვაა: ერთი, რომ არც თავთ ისინი არიან ამნაირი თავიანთი ბედის მადრიელნი, და მეორეც ისა, რომ იქაური ცხოვრების სიიფე და აქაური ძალიან შორი-შორს არიან.

არა, ბატონებო, ამრიგი მსჯელობით ჩვენ ფონს ვერ გავალთ. ჩვენი სოფლის უკოლების მასწავლებელთ იმდენი შეძლება არის რომ ჰქონოდნენ, რომ, გარდა ლუკმა-პურისა—რომელიმე რიგანი პედაგოგიური ჟურნალისა და ადგილობრივი გაზეთის გამოწერა შესძლებოდათ, მაშინ ისინა უამ—კრებოთაც რამდენსამე ხნობით კარგათ წაიყვანდნენ თავიანთ წმინდა საქმესა და არც ასე მოუშალებელნი გამოჰცხადებოდნენ ეხლანდელ საქვეყნო კრებაზე.

ა. მ.

*) მბეჭდათ ამ შენიშვნას, თუმცა ჩვენ არ ვეთანხმებით იმის ავტორს, რომ მასწავლებელთა კრებამ უნაყოფოთ ჩაიარაო. ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ, სხვა თუ არა, ამ კრებაზე ერთი რამე საფუძვლიანი საქმე მაინც დაწესდა და დაძვედრდა მტკიცედ: სამშობლო ენაზე სწავლა სასოფლო სასწავლებლებში.

მეორე: უეჭველია, რომ კრებამ ავად თუ კარგათ შეადგინა პირველ-დაწყებითი უკოლებისათვის პროგრამები, და ესეც დიდი საქმეა იქ, საცა სწავლა უთაებლოდ და ალაღ-ბედზე მიდიოდა.

ამას გარდა მასწავლებლების ერთად შეყრა, ერთმანეთის გაცნობა, ლაპარაკი და ბაასი ყოველ შემთხვევაში დიდ სარგებლობას მოუტანს თვითონ იმათაც და იმათ უკოლებსაც.

რაცა შეეხება იმას, რომ ჩვენი მასწავლებლები ცუდს მდგომარეობაში არიანო და იმათ მატერიალურ მხრის გაუმჯობესებაზე უნდა ვიფიქროთო, — ჩვენ სრული თანახმა ვართ უფალის

ა. მ.—ისა. მაგრამ კრება, თუ არ დაეხმარება, სრულიად არ დაუშლის ამ საგანზედ სჯას და მზრუნველობას.

რედ.

დღიური

* * პეტერბურლის გაზეთებში იწერებოდა, რომ უმაღლესს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რომ ამ მოკლე ხანში ბათუმი რკინის გზით შეაერთოს შოთი-თფილისის რკინის გზასაო, რადგან უამისოთ ბათუმის შეძენას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა.

ამ შემადგენელი გზის თაობაზე ორი პროექტი არის: ზოგიერთები ამბობენ, რომ ეს გზა სამტრედიის სტანციამდე უნდა დაიწყოს, მზურგეთზე გაივლის და შემდეგ სულ შავი ზღვის ნაპირით უნდა გავიდეს ბათუმამდინაო. ზოგი კი ამტკიცებს, რომ ზღვის ნაპირს უნდა მოშორდეს ეს გზა, მტკერისა და აჭარის-წყლის ნაპირით უნდა გავიდესო.

მცოდნე კაცები გვარწმუნებენ, რომ ზღვის ნაპირზე გაყვანილი გზა ორჯერ უფრო მოკლე იქნებოდა და უფრო იაფათაც დაჯდებოდა.

ზემოხსენებულივე გაზეთების სიტყვით, პეტერბურლიდამ გამოგზავნილი არიან ბათუმში: ლენ.-მაიორი ბანი, რომელმანც სამზღვრებზე კარდონი (მოყარაულე ჯარი) უნდა დააყენოს, და დამოქნის დებარტამენტის დირექტორი უფ. ძაჩალოვი, რომელმანც დამოქნა უნდა დააწყოს ბათუმში იმ საქონლისათვის, რომელსაც რუსეთის სამზღვარზე გადმოიტანებენ ამ ქალაქიდან.

* * ამას წინათ იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ, უფ. მ. მკა-

ვარიანის თაოსნობით, შეადგინეს ზოგიერთ ქართული სემინარიების ნოტები და ეს ნოტები ახლა იბეჭდებოდა.

ჩვენ შეგვიძლია ვაცნობოთ ახლა მკითხველს, რომ ეს ნოტები (პირველი ნოტები ქართულს ენაზე) უკვე დაიბეჭდა და ისყიდება კიდევ; სახელად ჰქვიან „სამშობლო ხმები“. როგორც ნათქვამი იყო, სულ 20 სიმღერა არის ნოტებზე გადაღებული.

საუბედუროდ, მუზიკაში ცოტა არ იყოს კოჭლად გახლავართ, და ამის გამო ვერაფერს ვიტყვით იმაზე—თუ როგორ შეუსრულებიათ ეს საქმე იმათ, ვინც იკისრებს; მცოდნე კაცებმა კი გვითხრეს, რომ ნოტებში ზოგიერთი მუზიკალური შეცდომები არისო.

რაცა შეეხება გარეგან მხარეს გამოცემისას, არა უშავს-რა, თუმცა ზოგიერთი სასიმღერო ლექსები გაფუჭებულია, ლექსი გაფუჭებულია; ზოგი ასოები ყირაზე დგანან და ფურცლებიც არეულია.

მაგრამ რაც უნდა იყოს, გამოცემელს (უფ. მ. ჩარკვიანს) დიდი მადლობა ეძღვნება ამ პირველი ნოტების გამოცემისათვის. ეს ამის პირველი ცდა და შეცდომები მიეტყვება.

წიგნის ფასი—1 მანეთია,—თუ მივღებთ მხედველობაში ლიტოგრაფიის სიძვირს, ეს დიდი ფასი არ არის.

* * თერგის გაზეთში იწერებოდა, რომ პურის მოსაყალი თერგის მაზრისაკენ წელს თითქმის ყველგან ბლომად არისო; მხოლოდ შიზლარის მხარეში კი კალიამ გააფუჭაო ნამუშავეარიო. ლეონოს კი წელს შიზლარისკენაც საკმაოდ მოელოიან.

* * მახეთს „მშაკში“ იწერებოდა, რომ

ჩვენო ერთ-ხორცნო და ერთ-სისხლნო ტუბილნო, მამანო, დედანო, ძმანო და დანო! მანა არ გიყოთ აღდენი ტანჯვა და შეიწროება, მამშილ-წყურვილი, სიღატაკე და სიშიშვლე, რაც დღემდის გამოიარეთ! სად არიან თქვენნი ქვეყნად შეენიერებით განთქეულნი საუკეთესო ქალისშვილები? ლერწამ-ტანისა მსხვერპული შავ-თვალ-წარბნი ვაჟ-კაცნი? მის აპიამოვნებენ და ატკობებენ წუთის ნუგეშითა?.. მანა ძოსტანდინებოლის სახელმწიფო ჰარმებში, ასიის ჩინებულს ქალაქების დიდ-კაცთ ოჯახებში, მეციბრტეს, მიუნუზს და მისთანა მიგარდნილს ადგილებში?

მე-თვითონ მინახია მრავალნი და ბევრი ცხარი ცრემლიც მდენია თვალთაგან.

ამისთანა წარსული და მომავალი კარგად იფიქრეთ და ისეთს საქმეს ნუ იქმნით, რომ ბოლოს იხანოთ!

სხვას არასა ვთხოვთ ჩვენ თქვენ, თუ

არ მართა ძმურ სიყვარულს და ერთობასა ყოველს სამოქალაქო საზოგადო საქმე-ყოფაზედ, რაც მოგველის მოზარდალ-ჩვენცა და თქვენც მიწის შემუშავებაში, აღებ-მიცემლობითს ვაჭრობაში, ხელობაში და სხვა ყველაფერში. ახლოს ვართ, პირ-და-პირ მოვილაპარაკებთ, ვარჩევთ და გვარჩევთ ყოველს ჩვენს საჭირო საქმესა და თუ შორით-გან დაგვეჭირება ერთმანეთთან გამოლაპარაკება, მაშინ უსათუოდ საჭიროა ქართული წერა-კითხვის ცოდნა, რომ წერილით გვივგოთ ჩვენ და თქვენ ერთმანერთის ქარი, ნაღველი და საჭიროება. მართის სიტყვით ძმურად ხელის-ხელთ მიცემითა ისეთი ძლიერი ციხე-ქალაქი უნდა დავსდგათ, რომ ყოველს ჩვენს გაჭირებაში სიადვილით შეგვეძლოს იმამო ჩვენი თავის შეფარება და ესეც უნდა კარგად ვიცოდეთ, რომ იმ ციხე-ქალაქის უპირველესი საძირკველი ქართული წერა-კითხვა არის.

როგორათაც კარგად გვეცოდინება, იმდენად უკეთესია!

და შინაურად, შენის სინიღისით რა რჯულსაც გინდა ემსახურეთ ჩვენი მთავრობა თქვენ არან დაგვიშლის. შეხედეთ ახალციხის გარემო-მყოფა სოფლებში მცხოვრებთ მაჰმადიანებსა; აგერ 50 წელზედ მეტია, რაც რუსს ეს მხარე უკავია. ამ მესხებს ისე წმიდად უკავიათ მაჰმადის სარწმუნოება, რომ იმათ მაშა-კაცთაგანი თითო მოლლა, იმაში და შეიხთ გვეგონებათ, სადაც ჰნახოთ. თითო სოფელში ორი და ხუთი მოლლა მოიძევა. რისაგან მომხდარა ამ ნაირი ცუდობა? სარწმუნოების თავისუფლობისაგან. მაშ თევი დაანებეთ მოსალაგებ და დასეფლასა...

მინაგ მესხი.
(დასასრული შემდეგ ნომერში)

ქარსში ამჟამად შეიდი ათას სულამდინ სომეხი ცხოვრობს.

ამავე გაზეთის სიტყვით, არზრუმის სომეხების დიდ წილს გამოუტყდადებიათ, რომ ჩვენ ძურთებთანა და მათრებთან გაძლება არ შეგვიძლიან და რუსეთში უნდა გადავესახლოთ.

* * 4 აპრილის სახსოვრად დაარსებული ლეჩენიციის გამგებელი უფ. დოქტორი ლისიცივი გვაცნობებს, რომ ამ ლეჩენიციის გახსნის დღეს 13 ლეონობისთვის სიონის სობოროში იქნება მოღვენა.

ბეჭდილია სტამბოლიდან მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი, სხვათა შორის, იწერება, რომ ამ ჟამად სტამბოლში მყოფმა ავგანისტანის ელჩმა დაარწმუნა ხონთქარიო, რომ რუსეთს მიემხროს და ინგლისს კი მოერიდოს. გაზეთი ამბობს, რომ, თუ ეს ამბავი გამართლდა, ამას ძალიან დიდი გავლენა ექნება შუაგულ აზიის ბედ-იბალზე-დაო.

— აპობენ, სპარსეთის შაჰი გამოაცხადა, რომ, თუ ინგლისსა და ავგანისტანს შუა ომი მოხდა, მე არც ერთს მხარეს არ მივემხრობი, ნეიტრალიტეტს დავიჭერო.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 6 ოქტომბერს. მთხი მსმალოს აფიცერი წაიღინენ აქედამ ფრანკუზის ხომალდით ტრაპიზონისაკენ. ისინი მიდიან ძაბულში იმ განზრახვით, რომ ავგანისტანის ჯარში იმსახურონ, თუ ამ სახელმწიფოსა და ინგლისს შუა ომი ატყდა. აპობენ, რომ ეს აფიცრები, მპირის თხოვნით, გაგზავნა ოსმალოს სამხედრო სამინისტრომ.

კათაბოზური, 6 ოქტომბერს. ბუშინ მოვიდა დ. მ. ნიკოლაოზ ნიკოლაოზის ძე.

სტამბოლი, 6 ოქტომბერს: რუსეთი-დამ დაბრუნებულ ოსმალოს ტყვეებს მთავრობა შინ არ ითხოვს. მალე ახალ ჯარებსაც მოაგროვებენ.

ლონდონი, 6 ოქტომბერს. აპობენ, რომ ავგანისტანთან უეჭველად იქნება ომი.

ვენა, 4 ოქტომბერს. ავსტრიის იმპერატორმა ჟოზეფ იოსიფმა მიანდო პრეტისს ახალი სამინისტროა შედგენა.

ავსტრიის ბერლინელი ელჩი ძაროლი დანიშნა ავსტრიის ელჩად ინგლისში; ბეისტი კი დანიშნა ელჩად ბერლინში.

ბერლინი, 5 ოქტომბერს. აქ მოვიდა რუსის ფინანსთ მინისტრი ბრევიგი; დიდხანს ილაპარაკა თ. ბისმარკთან და აგრეთვე აქაურ ბანკირებთან; შემდეგ პარიფისაკენ წავიდა.

მოსტარი, (პროვოგოვინა), 4 ოქტომბერს. დღეს ღენ. იოვანოვიჩი შევიდა მოსტარში. ხალხი დიდს პატივისცემით მიიგება იმასა და ავსტრიის ჯარებს.

ლონდონი, 4 ოქტომბერს. სტამბოლიდან იწერებიათ. რომ აქ მოვიდა ინგლისის სახლრო აგენტი და მოიტანა ამბავი, რომ რუსია ჯარები ისევ დაბრუნდნენ ჩორლუში.

სიმლა, 3 ოქტომბერს. „სტანდარში“ იწერებიათ, რომ ავგანისტანის მპირის პასუხს ამ თვის 8-ს მოვლიან აქაო.

კათაბოზური, 5 ოქტომბერს. კატაბოზური დავილოვი დანიშნულია რუსის ელჩად ბოლგარიაში. თ. წიგნითელოვი — აღმოსავლეთ რუმელიაში; დანიშნულია კატაბოზური-რუსის კონსულად არზრუმში, ტიმოფევი — ტრაპიზონში, დღეს მოვლიან აქ დ. მ. ნიკოლაი ნიკოლაევიჩა.

ვენა, 4 ოქტომბერს. გაზეთს „პრეს-ში“ იწერებიათ: ავსტრია ამ მოკლე ხანში გარდასცემს შარათეოდორი-ფაშას პასუხს ოსმალეთის ნოტაზედ. ქველა სადავო საგნები ამ პასუხში გარკვევით და დალაგებით არის ახსნილი.

კათაბოზურის ბირჟა, 4 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	97—
მეორესი — — — —	95—50
მესამესი — — — —	95—62
მეოთხესი — — — —	95—62
აღმოსავლეთის — —	92—65
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—19
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	— —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	232—75
მეორე სესხის — — —	228—50
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — —	24— „ პენსი
ამსტერდამი — —	121— „ სენტრი
ბერლინი — — —	204—25 „ ჰენიგი
პარიფი — — —	251— „ სანტიმი

განცხადებანი

გამოვიდა ლიტოგრაფიიდან და ისე იდგება მ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ქართული სახალსო სიმღერები

ნოტაზემ გარდაკეთებული მიხეილ მაჭავარიანისაგან და გამოცემული მ. ჩარკვიანისა. ფასი ერთი მანეთი (მ—1)

„იბავ-არაკნი“

ბამოკრიბილინი საბა-სულოხან მარბელიანის სიმღერა-სიმღერად „და გალექსილი თ. რაფ. მარსთვისაგან. ფასი ორი შაური. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში იხილება:

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

აპობენ, ვითომც მსმალეთის ხონთქარს უთქვამს ინგლისის ელჩის ლეონობისთვის შემდეგი სიტყვები მცირე აზიაში რეფორმების შემოღების თაობაზედ:

„მე მოვანდენ საჭირო ცვლილებებს მცირე აზიის გამგებანში; მაგრამ ამ ცვლილებების შემოღება ჩემს ნებაზედ უნდა იქნეს დამოკიდებული. ამ საგანზე მე კარგათ უნდა მოვიფიქრო, კარგათ უნდა ავსწონო, რომ ისეთი უფლებები არ მივცე მცირე აზიას, რომ ჩემს უზენაესს უფლებას დააკლდეს რამე.“

— ვენის გაზეთებში იწერებიათ. რომ მსმალეთის მთავრობას ისე ამაყად უჭირავს თავი ავსტრიის შესახებ, რომ უმჭველიაო, იმას რუსეთის დახმარების იმედი უნდა ჰქონდესო.

— მსმალეთის მთავრობას გამოუცხადებია რუსიის ელჩის ლობანოვ-როსტოვსკისათვის, რომ სანამ რუსის ჯარი არ წავა აღრიანოპოლიდამ, მინამ მ. მ. მალიანების დამშვიდება რუმელიაში შეუძლებელიაო. რუსის ელჩს უთქვამს ამაზე პასუხად, რომ რუსის ჯარები მხოლოდ შაჰინ გავლენ აღრიანოპოლიდამ, ოდესაც რუსეთსა და მსმალეთს შუა დაბოლოვებული მორიგების პირობა იქნება შეკრულიო.

ინგლისი

ლონდონის გაზეთებში იწერებიათ, რომ ავგანისტანში გასაგზავნი ჯარების უფროსად ინგლისის მთავრობამ დენერალს ბეინსს ნიშნავსო, რომელსაც ამ თავით 35,000 კაცი ეყოლება ხელქვევითო.

— ამავე გაზეთის სიტყვით, ავგანისტანისა და ინგლისის ჯარები რამოდენიმე ეგრისს სომაროზე არიან ერთი მეორისაგან მოშორებულნი და დღე-ღამეზე მოვლიან ომის გამოცხადებლსო. პეშავარის ატრიალს ბრძანება მოსვლია, რომ ქალაქის აღიშუსვიდის ასაღებად მზათ იყოს.

— მრთს ფრანკუზულს გაზეთში და-



დაიბეჭდა და ისყიდება ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

„სოლომონ ისაქიძე მეჯღანუაშვილი“

რომანი

ლაზკენტი არდაზიანისა.

ზამოცემული

ი. მელიქოვისა და ზ. ჩარკვიანისა.

ფასი 30 კაპეიკი.

(3-1)

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან საპირკო სახლი უფროსი პოლიციამისტრის სადგომად, იმის კანცელარიისა და არხივისათვის და აზრითვე პაჭარის კამანდისათვის.

ეს სახლი უნდა იყოს სადმე შუაგულ ქალაქში; იმას უნდა ჰქონდეს საჯინბო (კანიუშნა) 36 ცხენის დასაყენებლად, დიდი ეზო და მოთავსებული დიდი ალყაფის კარები.

თფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს იმ სახლის-პატრონთ, რომელთაც ჰსურთ ამ საჭროებისათვის სახლის გაქირავება, მოვიდნენ გამგეობაში (უპრავეში) მომავალ ოქტომბრის თვის 5 რიცხვამდე და ამასთანავე წარმოადგინონ თავიანთი დაწერილებითი პირობები.

(3-3)

ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში, თფილისში, ბალაიანის პროსპექტზე, ისყიდება რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი „ბატონ-გამრის უფლება საქართველოში“ („Крѣпостное Право въ Грузіи“). თითო წიგნის ფასი თხუთმეტი რუბლია, გავზენით ოთხი აბაზი.

„ნიკო“

მოთხრობა თავადი რაფიელ მრისთვისა. ფასი 15 კაპეიკი.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა

აქით აღხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის 18 დეკემბრისთვის (ოქტომბერს), იმის თანდასწრებით, დანიშნულია მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა (ტორგი) ნავთლულის ნავთის • წყაროების იჯარით მიცემად.

სუთ შვიდი წყაროა და ამასთან უდაბნო მიწაც.

(2-2)

29 სექტემბრიდან დაიწყო გორში აუქციონით მომეტებული აბტილურიის ცხენების გასყიდვა. გასყიდება 1-2 და 4 არტილერიის ბრიგადის ცხენები.

ამ ცხენების ყიდვის მსურველთ შეუძლიან მიმართონ გორში.

(3-2)

თიანეთის უფლები თ. ნიკო ჰაეცა-

ვადის მამულის გვერდით. **ისყიდება გაყული დესიატინა,** რომელიც შეიცავს სახნავ-სათეს ადგილს, ტყეს, საწისქვილეს ადგილს (იორზე).

ფასისა და აგრეთვე უფრო დაწერილებული გარემოების შეტყობა და მამულის პლანის ნახვა შეიძლება „დროების“ რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, სახლს № 8.

(5-2)

ისყიდება პარტიითა და თითო კულითაცა **თაგბაქო,** მახორკა, ნაკლებ ფასათ.

აღრმისი: ბალერეი არწრუნისა, № 146.

ივანე ალხაზოვი

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ზეგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი: სასულიერო სასწავლებელში; უფ. მამცივეთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. ბრიგოლ მრბელიანისა, ილია ჰაეცაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ შურცელოძისი, ივანე პერესელიძისი, იოსებ ბაქრაძისი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია შიჭინაძისა ფასი ორი რუბლი.

გამოვიდა და ისყიდება

მეექვსე კარი „ქარამანიანისა“

ქ. თფილისში, მიხაილოვის ხილზე, მირზოევის შენობაში, მხოლოდ ს. არტ. მართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 40 კოპ.

მსურველს შეუძლიან მიიღონ ამ წიგნის მაღაზიაში I, II, III, IV და V კარი „ქარამანიანისა“.

იბეჭდება და მომავალ თვეში გამოვა მეექვსე კარი „ქარამანიანისა“

(3-3)

ვისელსონის სტამბაში, რომელიც იმყოფება ბალაიანის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში-

მიღებულია ყოველ ნაირი **ახალი ქართული ურიქტი,** ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

რ. ბზა.	დღა.	ს.ღა.	II კ.	III კ.	ბელეგრადი	მანკაბ.	მაზანდა	მანკაბ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18	კაბ.	მ.კაბ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 29 სექტემბ.		მრგენს მადანზე, წ. ნამდგაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს	1	შქე. თეთ. მანჯინა, ფთ.	1 80	აგათმყოფებს მიიღვენ ყოველს
გორი	11 58	9 43	240	133	გორს, ლუშეთს, სიღნაღს . . .	50	შქელი წითელი	1 55	დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ხაშური	1 29	11 57	392	218	როსტოვს, მდებს, მოსკოვს . . .	2	ქერი ფული	1 40	მ. რ შაბათს: მერმიშევი და ბა-
სურამი	1 44	4 42	246		პეტერბურს, მარშავს	2	ბამბა მრგენისა, ფუთი	7 50	რალეიჩი—შინაგ. ავთა, ქიუჩა-
ქვირილა	5 49	5 81	323		მსმალეთში, შევიცრაოში	3	— ამერიკისა, ფუთი	8 50	რიანც—საჯარო ექიმი და საშვი-
რიონი	6 51	6 75	375		იტალიაში და ს. გრანგეთში	350	ბაპენტლი ბ მბა ფუთი	10	ლოს ოპერაციები.
სამტრედია	7 51	7 73	429		ინგლისში	375	მატყელი თუშური ფუთი	8 50	სამ შაბათს: მერმიშევი—ში-
ახალ-სენაკი	8 43	8 57	476		ფოჩტა		— თრაქაძისა ფუთი	4 50	ნაგ. პ. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბაე-
ფოთი	9 50	9 75	542		ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ		აბრეშუმი ნუხური სტ	2	შვის, პეუნოვი—თვალის.
ფოთი	9 3				დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და ფოთისკენ—		ქონის სანთელი ფუთი	8	მ. თხ შაბათი: მერმიშევი—ში-
ახალ-სენაკი	10 14	1 18	66		ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურ-გვთს—ორშ. და პარასკ.		სტეარინის სანთელი, ფთ.	12 20	ნაგანი.
სამტრედია	11 5	2 6	114		წიგნის გაგზავნა რუსეთში კაბ. და სამზღვარ გარეთ:		ხორცი ძროხისა, ლიტ	81	ხუთ შაბათს: მერმიშევი—ში-
რიონი	12 13	3 4	169		ლია წიგნის	4	— ცხვისა, ლიტრა	90	ნაგ., ქიუჩარინცი—სიჭილიტიკუ-
ქვირილა	1 18	ლაშე.	398	221	დამბეჭდილის (ხამი მიხხალი)	8	სპირტი ვედრო	4 80	რი და საშარდგ ორგანების.
სურამი	5 12	1 10	533	296			შაქარი, ბროც. ფუთი	7 40	პარასკევს: მერმიშევი—შინაგ.,
ხაშური	5 39	1 37	584	324			— ფზნელი ფუთი	6	პ. ბახტოვი—საბეზო ქალისა და
გორი	7 5	4 8	736	49			შავა გრვავალი, გირვ	70	ბავშვების.
მცხეთა	8 50	6 59	985	4			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	14	შაბათს: მერმიშევი შინაგ., და
თფილისი	9 31	7 56	975	542			თამბაქო, საშულო ფთ.	6 15	პეუნოვი—თვალისა.